არ გინდათ გამცნოთ უფრო უკეთესზე, ვიდრე მარხვა, ლოცვა და სადაყა?

გადმოცემულია აბუ დარდასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გინდათ გამცნოთ უფრო უკეთესზე, ვიდრე მარხვა, ლოცვა და სადაყა?» იქ მყოფებმა უპასუხეს: რა თქმა უნდა, თქვა: «ორ დაპირისპირებულს შორის მდგომარეობის გამოსწორება, უთუოდ ორ დაპირისპირებულს შორის მტრობა არის გამანადგურებელი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა და ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა თავის საჰაბებს: გინდათ გამცნოთ უფრო მადლიანი საქმის შესახებ, ვიდრე ნებაყოფილობითი მარხვა, ლოცვა და სადაყაა? მათ უთხრეს: დიახ. თქვა: ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის სიტუაციის მოგვარება, რამეთუ დაპირისპირება ადამიანთა შორის იწვევს: შუღლს, განხეთქილებას, გარიყვას, სიძულვილს და ზურგისქცევას, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ზიანს მოაქვს სიძულვილი, რომელიც არის თვისება გაანადგუროს და მოსპოს რწმენაც და ამქვეყნიური ჰარმონიაც, ისე როგორც საპარსი პარსავს წვერს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66252